# ადამიანები, ამბები, ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა



„იაკ-12" ჭაობის დამუშავების დროს



„იაკ-12" თვითმფრინავის მეთაური ალექსანდრე კოვალიოვი (მარცხნივ) და ბიოლოგი-ენტომოლოგი შალვა უჩვერიძე გაფრენის წინ

მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ მუშაობას ეწევიან ფოთის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის თანამშრომელები. დიდი ხანია ისინი მეგობრობენ ავიატორებთან, რომლებიც ყოველწლიურად ჰაერიდან ამუშავებენ 10 ათასზე მეტ ჰექტარ ჭაობსა და წყალსატევს, სპობენ მალარიის კოღოს, მატლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



ფოთის ტორფის ქარხნის კოლექტივმა ხუთწლედის პირველ წელს გეგმის გადამეტებით ხუთი ათას ტონაზე მეტი ტორფი ამოიღო პალიასტომის ტბის ფსკერიდან. ტორფის მოპოვებაზე მუშაობენ მძლავრი ექსკავატორები და მცურავი მრავალციცხვიანი აგრეგატი, რომელიც ერთად-ერთია ჩვენს ქვეყანაში.

სურათზე: ტორფის მოპოვება მრავალციცხვიანი აგრეგატით.



საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



მადნის გადაზიდვა გამამდიდრებელი ფაბრიკიდან

ჭიათურის გამამდიდრებელ ფაბრიკაში დადგმულია უახლესი სატელევიზიო დანადგარები. ეს დისპეტჩერს საშუალებას აძლევს მართოს ყველა საამქრო, თვალი ადევნოს ტექნოლოგიურ პროცესს.

დისპეტჩერი ელზა ღუღუნიშვილი სატელევიზიო დანადგართან





საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები




ტყვარჩელის ქვანახშირის აუზის შახტ-ჰიდროელექტროსადგურში მთავრდება სამშენებლო სამუშაოები. შრომის ნაყოფიერების კარგ მაგალითებს გვიჩვენებს აქ გვირაბგამყვანთა კოლექტივი, რომელსაც მეთაურობს კომუნისტური შრომის დამკვრელი პეტრე მიქაძე.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) პეტრე მიქაძე, შალვა გვარამია და კონსტანტინე გვარამია.



საქდესის ფოტოქრონიკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



მაღალი საწარმო მაჩვენებლებით ამთავრებს ხუთწლედის პირველ წელს სოხუმის საქსოვი ფაბრიკის მქსოველი ლილი ჯიჯეიშვილი. მის ანგარიშზეა ასობით მეტრი ზეგეგმითი აბრეშუმის ქსოვილი.

სურათზე: მქსოველი ლილი ჯიჯეიშვილი.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



ჭიათურაში დამთავრდა პირველი სამხრივი საბაგირო გზის სადგურის მშენებლობა. იგი სამ გარეუბანს დააკავშირებს ჭიათურის ცენტრთან. ახალმა გზამ წარმატებით ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები.

სურათზე: ახალი სამხრივი საბაგირო გზის სადგური ჭიათურაში.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო განყოფილების მუშაკებმა შექმნეს მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის „რიონი-10"-ის ახალი მოდელი. ახალი მანქანა თავისი წინამორბედისაგან გამოირჩევა იმით, რომ მისი სიმძლავრე გადიდებულია 1,8 ცხენისძალით და საათში ავითარებს 12 კილომეტრ სიჩქარეს.

სურათზე: ტრაქტორი „რიონი-10".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



ავტომობილ „კაზ-608-დ"-ის კაბინა

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში შეიქმნა ახალი მარკის ავტომობილი „კაზ-608-დ", რომლის ტვირთამწეობა 4,5 ტონაა. მანქანის კაბინა ავტომატურად ყირავდება. ეს მნიშვნელოვნად ამსუბუქებს კაბინის ყოველი კუთხის შეკეთებას.




ახალი სატვირთო ავტომობილი „კაზ-608-დ"

# ადამიანები, ამბები, ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა



წელს კარგად იმუშავა მახარაძის რაიონის ურეკის შემფუთავი ქარხნის კოლექტივმა. შეჯიბრების ავანგარდში არიან წარმოების მოწინავენი ბრიგადირი დ. როზგონიუკი და შემფუთველი ე. კიმუცაძე.

სურათზე: ბრიგადირი დ. როზგონიუკი (მარჯვნივ) და შემფუთველი ე. კიმუცაძე.

# ადამიანები, ამბები, ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა



მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მწველავმა ანიკო ონიანმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალება. გეგმით გათვალისწინებული 16 ტონის ნაცვლად მან მიიღო 20 ტონა რძე.
სურათზე: მოწინავე მწველავი ანიკო ონიანი.

ფურცელი 11

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



ყამირი მიწების ათვისებისათვის დიდი მუშაობა ხორციელდება გალის რაიონის სოფელ მუხურის ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობაში. იქ, სადაც წინად ადამიანს ფეხი ვერ დაედგა, ახლა აშენებენ ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებს. კრეფენ დაფნის ფოთოლს.

სურათზე: ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობაში ახალი მიწების ათვისების ერთ-ერთი მომენტი.



საქდესის ფოტოქრონიკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაგრის რაიონის სოფელ სალმეს კოლმეურნეობა „მეგობრობის“ მოწინავე მწველავმა ნათელა გოგოლაძემ წელს თითოეულ ძროხაზე მიიღო 2.500 კილოგრამი რძე,—300 კილოგრამით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

სურათზე: ნათელა გოგოლაძე.



საქდესის ფოტოქრონიკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები

გაგრის ახლოს მდებარეობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღის საყრდენი პუნქტი. აქ ორანჟერეებში თავიანთი მეორე სამშობლო იპოვა ორასი დასახელების ტროპიკულმა მცენარემ. მათ შორის დიდ ინტერესს იწვევენ კაკაოს ხეები და ნესვის ხე, ანუ. როგორც მას მექსიკაში უწოდებენ „კარიკა პაპია".



ლაბორანტი ტატიანა ესიუკოვა



უფროსი მებაღე ლიდია ეგოროვა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა



წლითიწლობით სულ უფრო ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება რაიონული ცენტრი თერჯოლა. მისი ფართო ქუჩე-ბი, ლამაზი შენობები ჩაფლულია მარადმწვანე მცენარეებში.

სურათზე: რაიონული ცენტრ თერჯოლის ერთ-ერთი კუთხე.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



თბილისში, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის შენობაში, გახსნილი იყო უნგრეთის ლაბორატორიული და საფეიქრო ხელსაწყოების გამოფენა. გამოფენა მოაწყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის საწარმო „მეტრიმპექსმა"

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში.

ფურცელი 17

საქლესეს ფოტოქრონიკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



სცენა სპექტაკლიდან „პირველი ქუხილი“

გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთის აჯანყების ასი წლისთავს. საზეიმო ნაწილის შემდეგ ლიხნის მოედანზე, სადაც ასი წლის წინათ აჯანყება მოხდა, გამოვიდნენ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, გაიმართა სახალხო სეირნობა. აქ აჩვენეს სცენა სპექტაკლიდან „პირველი ქუხილი“. ეს სპექტაკლი ეძღვნება ლიხნის პირველი აჯანყების 100 წლისთავს.

გამოდის ასი წლის მოხუცების გუნდი





საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები




ახალი უნივერსალური მაღაზიის შენობა ხაშურში

რაიონულ ცენტრ ხაშურში საექსპლოატაციოდ გადაეცა უნივერსალური მაღაზიის ორსართულიანი შენობა. მაღაზიის რვა სექციაში არის მრავალგვარი საქონელი.

გამყიდველი თინა დევდარიანი დახლთან



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



ეს ბზის დეკორაციული ლანგარი დაამზადა ხელმარჯვე ოსტატმა არსენ ფოჩხუამ შოთა რუსთაველის იუბილესათვის. ლანგარზე გამოსახულია შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი პერსონაჟები.

# ადამიანები, ამბები, ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხინვალში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობაში, გახსნილია შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მხატვართა ნამუშევრები
სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ფურცელი 22

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



კარგი საჩუქარი მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა—საექსპლოტაციოდ გადაეცა კაფე-სასადილოს ორსართულიანი შენობა, რომელიც მოწყობილია უახლესი სამაცივრო დანადგარებითა და თანამედროვე ავეჯით.

უნივერსიტეტის კაფე-სასადილოს შენობა



კაფე-სასადილოს ერთ-ერთი კუთხე

# ადამიანები, ამბები, ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველო სულ სამიოდე წელია რაც არსებობს. მაგრამ მისი გემები თევზის ჭერას აწარმოებენ ატლანტიკის სამხრეთ განედებში, ინდოეთის ოკეანესა და ფოლკლენდის კუნძულების სანაპიროებთან. ახლახან სამმართველომ მოძმე ბულგარეთიდან მიიღო ახალი მცურავი სარემონტო სახელოსნო, რომელიც უზრუნველყოფს სეინერების შეკეთებას ზღვაში. მცურავმა ქარხანამ, როგორც მას ქართველი მეთევზეები უწოდებენ, უკვე მიიღო შესაკეთებლად პირველი სეინერები.

სურათზე: მცურავი სარემონტო სახელოსნო ფოთის ნავსადგურში.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები, ამბები, ფაქტები



ქალის ხელის მტევანი ვაშლით



მუზეუმის ერთ-ერთი კუთხე



ნორჩი მხარეთმცოდნეები შესვენებაზე. მარჯვნიდან მეორე გ. სამხარაძე

100-ზე მეტ ექსპონატს ითვლის ჭიათურის რაიონის სოფელ რგანის საბავშვო სახლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. აქ არის ქვის ხანის იარაღები, ბრინჯაოს ნაკეთობები, ჭურჭლები, სხვადასხვა სამკაული. ახლახან საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა აღმოაჩინეს საინტერესო საგანი—ბრინჯაოსაგან დამზადებული ქალის ხელის მტევანი ვაშლით, რომელიც განეკუთვნება III საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრეს ხელმძღვანელობს ქალაქ ჭიათურის მცხოვრები გ. სამხარაძე.